

კავკასიოლოგია თურქეთში

## Caucasology in Turkey

ასოც.პროფ. ნანული კაჭარავა

Assoc. Prof. Nanuli Katcharava

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

Ivane Javakhishvili Tbilisi State University

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

Faculty of Humanities

საკვანძო სიტყვები: კავკასიური ენები, თურქეთი

Key words: Caucasian languages, Turkey

## Abstract

Turkey became a candidate for EU membership in 1999, and negotiations on its accession began in 2005. Despite all this, due to a number of problems, the Council of the European Union decided on December 15, 2021 to suspend - temporarily freeze the negotiations on Turkey's accession to the European Union. And yet, while preparing to enter the European Union, during these long years, the country's government took into account the requirements and standards of the European Union. According to the radically changed political course of the country's ruling party, attention was paid to the languages and dialects in Turkey. As a result, departments of Kurdish and two Caucasian languages - Circassian and Georgian languages and literature were admitted to regional universities.

Today, there are departments of Caucasian languages and cultures in the four universities of Turkey - Kars, Ardahan, Rize and Duzje, majoring in Georgian language and literature. The charter of Artvin University includes the opening of a department of Caucasology, but so far this direction has not been implemented. In 2005, for the first time, a department of Georgian language and literature was opened at the Caucasus Kars University, and since the 2006 academic year, it has also accepted students. The Charter of the University of Ardahan provided for the opening of the Department of Georgian Language and Literature in 2008. In 2010, Recep Tayyip Erdogan Rize University and in 2013 Duzje University were allowed to have departments of Caucasian languages. Duzje University accepted students the same year, and the student semester at Rize University began in 2016.

The Department of Georgian Language and Literature at Duzje University has the advantage over the other three centers that it has two levels of teaching, both bachelor's and master's. Also here, in 2013, for the first time in Turkey, the second Caucasian language, Circassian language and literature department was launched, where all three levels of education function: bachelor's, master's and doctoral. In 2018, the second department of Circassian languages, namely Kabardian language and literature, has been opened at Kayseri Ergies

University. The teachers of the Department of Circassian Language in Duzje are professors from the University of Maikop in the Republic of Adige, who are well acquainted with the Caucasus School of Georgia. They are esteemed women who have defended their dissertations in Tbilisi. The Department of Circassian Language is closely connected with the Department of Caucasology of Tbilisi State University and Circassia Culture Center. We must mention also the great role of diasporas in general in the establishment of chairs of the respective Caucasian languages.

We tried to open a department of Georgian language at Sakaria University in Adafazar, but so far we have not succeeded. Duzje University is actively preparing to open a third Caucasian language, the department of Abkhazian language and literature. There was also an attempt to establish a chair of the Lazish language in the structure of Duzje University. But due to some procedural problems, this issue was stopped. It should be noted here that Georgian and Lazish languages were also taught as optional subjects at Bosphorus University, Turkey's number one.

In addition, the Ministry of National Education of Turkey 2013-2014 According to the decision, the teaching of Circassian, Lazish, Abkhazian and Georgian languages was allowed as an optional subject in secondary and theological schools of Turkey. This information was broadcast on Georgian television. There were only two schools willing to learn the Georgian language throughout Turkey. These are village of Sakarya province Nurosmany and Artvin township Murghul secondary schools.

"Golden Fleece" order was awarded to Erdal Kuchuk and Kevser Ruhi for their contribution to the preparation and approval of the Georgian language teaching program in secondary schools in Turkey.

Immediately after the end of the democratic opening and solution process, even before the pandemic, in the schools Circassian, Lazish, Abkhazian and Georgian classes were not opened.

თურქეთი ევროკავშირის წევრობის კანდიდატი გახდა 1999 წელს, ხოლო 2005 წლიდან დაიწყო მოლაპარაკებები მისი გაწევრიანების შესახებ. მიუხედავად ამისა, რიგი პრობლემების გამო ევროკავშირის საბჭომ 2021 წლის 15 დეკემბერს მიიღო გადაწყვეტილება შეეჩერებინა – დროებით გაეყინა – მოლაპარაკებები თურქეთის ევროკავშირში გაწევრიანების თაობაზე. და მაინც, ევროკავშირში შესასვლელად მზადებისას, ამ ხანგრძლივი წლების მანძილზე, ქვეყნის მთავრობა ითვალისწინებდა ევროკავშირის მოთხოვნებსა და სტანდარტებს. ბოლო ოცი წლის განმავლობაში თურქეთის სათავეშია „სამართლიანობისა და აღორძინების პარტია“ (AKP –Adalet Kalkınma Partisi) და მისი ლიდერი დღევანდელი პრეზიდენტი რეჯებ თაიფ ერდოღანი. დაწყებულია ძველი ღირებულებების გადაფასება, მათი შეცვლა და ახლით ჩანაცვლება. ქვეყნის მმართველი პარტიის რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკური კურსის მიხედვით ყურადღება მიექცა თურქეთში არსებულ ენებსა და დიალექტებს, რის შედეგადაც რეგიონალურ უნივერსიტეტებში დაშვებული იქნა როგორც ქურთულის<sup>1</sup> ასევე ორი კავკასიური ენის – ჩერქეზულისა და ქართული ენებისა და ლიტერატურის განყოფილებები<sup>2</sup>.

2011 წელს დემოკრატიული ინიციატივის (demokratik açılım) ე.წ.გამჭვირვალობის პერიოდში ან, როგორც მას სხვაგვარად უწოდებდნენ, რეგულირების პროცესის (çözüm süreci) დროს ქურთული ენისა და ლიტერატურის განყოფილება პირველად

---

<sup>1</sup>YÖK Kürt Dili ve Edebiyatı (SÖZ) Programlarına Taban Puanı... (უმადლესი განათლების საბჭო, ქურთული ენისა და ლიტერატურის პროგრამების საბაზისო ქულები) <https://yokatlas.yok.gov.tr/netler-tablo.php?b=11502>

<sup>2</sup> DÜZCE ÜNİVERSİTESİ FEN EDEBİYAT FAKÜLTESİ - KAFKAS DİLLERİ VE KÜLTÜRLERİ BÖLÜMÜ (დუზჯეს უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფაკულტეტი, კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილება) <http://kafkas.fef.duzce.edu.tr/Sayfa/b9b2/genel-bilgi>

გაიხსნა უკიდურესი სამხრეთ-აღმოსავლეთის ისტორიულ პროვინციაში – მარდინის უნივერსიტეტში, ხოლო მას მოჰყვა სტუდენტთა მიღება ბინგოლის, მუშის, დიარბაქირისა და თუნჯელის უნივერსიტეტებში. 2012 წელს ეროვნული განათლების სამინისტროს ნებართვით დაშვებულ იქნა ქურთულისა და ზაზა ენის საშუალო სკოლებში არჩევით საგნად სწავლება. ამავე პერიოდს ეკუთვნის ქურთულ ენაზე ტრანსლაციის უფლებით სატელევიზიო არხის დაშვება. ყველაფერი ეს დემოკრატიული გამჭვირვალობის ანუ რეგულირების პროცესის პერიოდში მიღებული დათმობებია.

არსანიშნავია, რომ ქურთულ ენამდე გაცილებით უფრო ადრე, 2005 წელს, თურქეთში ქართული ენის კათედრის გახსნის საკითხი დადებითად გადაწყდა. დაწვრილებით შევეხოთ ამ ფრიად მნიშვნელოვან ისტორიულ ფაქტს.

ანკარის უნივერსიტეტის სტრუქტურაში ფუნქციონირებს ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტი. ამ ფაკულტეტზე გახსნილია თითქმის ყველა დასავლეთ ევროპული ენის კათედრა, მოწვეული ჰყავთ სპეციალისტები ბელგიიდან, ჰოლანდიიდან, ასწავლიან ნიდერლანდურსაც კი; რასაკვირველია, ამოქმედებულია ყველა მოსაზღვრე ქვეყნის ენების დეპარტამენტები, ხოლო სომხურის სასწავლებლად გასული საუკუნის ბოლოს სპეციალისტი გაგზავნილი იყო სანკტ-პეტერბურგში და მისი დაბრუნებისთანავე გაიხსნა სომხური ენისა და ლიტერატურის კათედრა. ამ ენათა მრავალფეროვნების ფონზე არც ჩანს და მომავალში არც მოიაზრება ქართული ენა განყოფილების, კათედრის ან თუნდაც პატარა უჯრედის სახით. გასული საუკუნის 90-იან წლებში გაიხსნა თუ არა საქართველოს საელჩო ანკარაში, დღის წესრიგში დადგა თურქეთში ქართული ენისა და ლიტერატურის კათედრის დაარსების საკითხი. ეს წინადადება მოტივირებული იყო იმით, რომ საქართველო უკვე დამოუკიდებელი ქვეყანაა, რომელიც თურქეთის კარის მეზობელია ჩრდილო-აღმოსავლეთის მხრიდან. ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობა სხვა ქვეყნებთან ერთად ერთ-ერთმა პირველმა თურქეთმა ცნო. საქართველოში 1944 წლიდან დღემდე

არსებობს ძლიერი თურქოლოგიური სკოლა, ხოლო ბოლო პერიოდში შესაშური პოპულარობით ისწავლება თურქული ენა. მაშინ როცა თურქეთის უნივერსიტეტებში აგერ უკვე XXI საუკუნეა და არ არსებობდა ქართველოლოგიის განყოფილება, ცენტრი ან თუნდაც პატარა კათედრა.

თურქეთის რესპუბლიკაში საქართველოს პირველი სრულუფლებიანი ელჩის, აწ განსვენებული ბატონ ნოდარ კომახიძისა (პროფესიით გახლდათ თურქეთის ისტორიკოსი) და მისი მოადგილის ბატონ შალვა გაბესკირიას (პროფესიით თურქოლოგი) ძალისხმევით 1996 წელს ანკარის უნივერსიტეტის დაქვემდებარებაში არსებულ TÖMER-ის კურსებზე (ენათა კურსების ქსელია თურქეთში), დაშვებულ იქნა ქართული ენის სწავლება, რომელმაც, სამწუხაროდ, მხოლოდ სამი თვე იარსება. მიზეზი გახლდათ ის, რომ ვერ იქნა სწორედ შერჩეული ადგილი და დრო. ქართული ენის კურსების სტამბოლში გახსნა უფრო უპრიანი იქნებოდა, სადაც მეტი ქართული ფესვების მქონე მოქალაქე ცხოვრობს; მაისის თვეში გახსნილ ქართული ენის კურსებზე კარზე მომდგარმა ზაფხულმა უარყოფითად იმოქმედა: შესამჩნევად იკლო კურსებზე სიარულის მსურველთა რიცხვმა. ქართული ენის კურსებზე ჩაეწერნენ ძირითადად, 70 წელს გადაცილებული ასაკოვანი მოქალაქეები, რომელნიც ასე თუ ისე ახერხებდნენ ქართულად ლაპარაკს და ახლა სურვილი ჰქონდათ წერა-კითხვა ესწავლათ. სამი თვის მერე კურსები დაიხურა მსურველთა სათანადო რაოდენობის არ ყოლის გამო. მაგრამ საელჩომ კვლავ აქტიურად გააგრძელა მუშაობა ამ მიმართულებით. გაიმართა მოლაპარაკება ანკარის უნივერსიტეტის ენის, ისტორიისა და გეოგრაფიის ფაკულტეტის დეკანთან. მაშინდელი დეკანი გახლდათ პროფ. მელიქე დელილბაში, პროფესიით ისტორიკოსი. მან ნამდვილად საჭიროდ მიიჩნია ქართული ენის კათედრის გახსნა, გაიხსენა ისტორიის მანძილზე ჩვენი ქვეყნების ურთიერთობები: „უამრავი ფირმანი და სიგელ-გუჯარი, რომელიც არქივებში მოგვეპოვება, დღეს თავის წამკითხველსა და მკვლევარს ელისო“ – ბრძანა მან. საუბარში ქალბატონმა დეკანმა ისიც აშკარად გამოხატა, რომ ამგვარი საკითხები უნივერსიტეტის დონეზე კი არა, უფრო მაღალ ინსტანციებში უნდა

გადაწყვეტილიყო. ამიტომ დღიდან საქართველოს საელჩოს გახსნისა თურქეთში, ეს საკითხი არ მოხსნილა დღის წესრიგიდან. და აი, მრავალწლიანმა შრომამ ნაყოფი გამოიღო, ნაბიჯ-ნაბიჯ გადაილახა ბიუროკრატიული აპარატის ყველა საფეხური და პირველად თურქეთ-საქართველოს ისტორიაში მოხდა უპრეცედენტო ფაქტი: 2005 წელს საქართველოს საელჩოს წინადადება თურქეთში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გახსნის შესახებ დადებითად გადაწყდა. მთელი თურქეთის მასშტაბით გამოცხადდა ტენდერი და ყარსის კავკასიის სახელობის უნივერსიტეტმა, როგორც რეგიონალურმა უნივერსიტეტმა, გამოთქვა სურვილი გაეხსნათ ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება, ხოლო 2006 სასწავლო წლიდან მან სტუდენტებიც მიიღო. აგერ უკვე 17 წელია ყარსის უნივერსიტეტში წარმატებით ისწავლება ქართული ენა<sup>3</sup>. ეს იყო ქართული დიპლომატიის, მეცნიერების, ქართველი თურქოლოგებისა და განათლების მუშაკების უდავოდ დიდი წარმატება. ათი გრძელი წელი დასჭირდა ამ საკითხის დადებითად დაგვირგვინებას. ამის მიზეზი, სავარაუდოდ, გახლავთ ის, რომ ბიუროკრატიული აპარატი თურქეთში საკმაოდ ნელა მუშაობს. ეს – ერთი და მეორე. გასული საუკუნის ბოლოს თურქეთში იყო პოლიტიკური კრიზისი. მოკლე დროში ხდებოდა მმართველი პარტიების ცვლა. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, ქართველოლოგიური უჯრედის გახსნის მოთხოვნა კიდევ მრავალი ათეული წელი ივლიდა ბიუროკრატიული აპარატის სხვადასხვა საფეხურიდან საფეხურზე და არ გადაწყდებოდა, რომ არა დღევანდელი თურქეთის მთავრობის ადგილობრივი ენებისა და დიალექტების მიმართ რადიკალურად შეცვლილი პოლიტიკური კურსი.

2008 წელს „თურქული ენის საზოგადოების“ მიერ ქ-ნ მარიკა ჯიქიასთან ერთად არდაჰანში (ისტორიული არტაანი) მიწვეული გახლდით საერთაშორისო სემინარში მონაწილეობის მისაღებად, სადაც შევიტყვეთ, რომ არდაჰანის უნივერსიტეტის წესდებაში გათვალისწინებული იყო ქართული ენისა და ლიტერატურის

---

<sup>3</sup> Kars Kafkas Üniversitesi, GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI ANABİLİM DALI (ყარსის კავკასიის უნივერსიტეტი, ქართული ენისა და ლიტ-ის მიმართულება)  
<https://www.kafkas.edu.tr/gdeabd/TR/sayfa2048>

განყოფილების გახსნა. არდაჰანის უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ და სოციალურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სტრუქტურაში ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი დაარსებულია 2013–2014 სასწავლო წელს<sup>4</sup>, იძლეოდა ოთხწლიან განათლებას ბაკალავრიატის დონეზე. მაგრამ, სამწუხაროდ, დღეს ქართველოლოგიის ეს ცენტრი თურქეთში დახურვის პირასაა. რამდენიმე წლის განმავლობაში ნაკადის არყოლის გამო, უკვე ჩამოერთვათ სტუდენტების მიღების უფლება. თურქეთის უმაღლესი განათლების საბჭოს ენათა განყოფილებების მდგომარეობის ამსახველ ატლასში 2020 და 2021 წლების მონაცემებში არდაჰანის უნივერსიტეტი და მისი ქართული ენისა და ლიტერატურის დეპარტამენტი უკვე აღარ ფიგურირებს.<sup>5</sup> 2011 წელს რეჯებ თაიფ ერდოღანის სახელობის რიზეს უნივერსიტეტს ნება დაერთო თავის სტრუქტურაში ჰქონოდა ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილება. მომზადდა საფუძველი – დაიწერა პროგრამები და 2016 წლიდან რიზეს უნივერსიტეტში სტუდენტები შეუდგნენ სწავლა-განათლებას.<sup>6</sup>

და რიგით მეოთხე ქართველოლოგიური ცენტრი – დუზჯეს უნივერსიტეტი. დუზჯე თურქეთის ყველაზე ახალგაზრდა 81-ე ვილაიეთია. იგი 1999 წლის აგვისტო-ნოემბრის ძლიერი მიწისძვრის შემდეგ გამოეყო ბოლუს პროვინციას. ახალ ადმინისტრაციულ ერთეულად გამოყოფის მიზანი იყო მიწისძვრით საშინლად დანგრეული ამ რაიონის რაც შეიძლება სწრაფი აღდგენა. დუზჯე არის ჩრდილოეთ კავკასიიდან გადასახლებული ჩერქეზების, ნებსით თუ უნებლიეთ ემიგრირებული მუჰაჯირი ქართველების, ლაზების, აფხაზების, ოსების, ინგუშების, ჩეჩნების, დაღესტნელების ლოკალურად დასახლების რეგიონი. შეიძლება ითქვას, აქ პატარა

---

<sup>4</sup> Ardahan Üniversitesi, GÜRCÜ DİLİ VE EDEBİYATI BÖLÜMÜ (არდაჰანის უნივ-ი, ქართული ენისა და ლიტ-ის განყ.) <https://ibef.ardahan.edu.tr/tr/page/gurcu-dili-ve-edebiyati/15170>

<sup>5</sup> YÖK Gürcü Dili ve Edebiyatı (SÖZ) Programlarına Taban Puanı... (უმაღლესი განათლების საბჭო, ქართული ენისა და ლიტერატურის პროგრამების საბაზისო ქულები) <https://yokatlas.yok.gov.tr/netler-tablo.php?b=10083>

<sup>6</sup> Rize Recep Tayyip Erdoğan Üniversitesi Fen Edebiyat Fakültesi Gürcü Dili ve Edebiyatı Bölümü (რეჯეფ თაიფ ერდოღანის სახ. რიზეს უნივერსიტეტი, საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარული ფაკულტეტი, ქართული ენისა და ლიტ-ის განყ.) <http://gde.fef.erdogan.edu.tr/tr/news-detail/gurcu-dili-ve-edebiyati-hakkinda/7344>



მინიკავკასიაა წარმოდგენილი. დღევანდელი რეალობით დუზჯეში დაახლოებით 24 ენა ისმის. სწორედ ამ მრავალფეროვნებამ განაპირობა ამ უნივერსიტეტში საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების გახსნა, რომელსაც ორი მიმართულება აქვს: ჩერქეზული ენა და ლიტერატურა და ქართული ენა და ლიტერატურა. ორივე მიმართულება გაიხსნა 2013 წელს და რეგიონის გეოგრაფიული ადგილმდებარეობის დამსახურებაა, რომ პირველსავე წელს აღმოჩნდნენ ამ მიმართულებებზე სწავლის მსურველნი. უნდა აღინიშნოს, რომ აქ ამოქმედებული ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილება პირველი იყო მთელი თურქეთის მასშტაბით (Düzce'nin Sesi 8.10.2013). 2018 წელს კი ქ. კაისერის ერჯიესის სახელობის უნივერსიტეტში გაიხსნა კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილება, რომელიც ჩერქეზული ენების უკვე მეორე კერა გახლავთ, კერძოდ, ეს არის ყაზარდოული ენისა და ლიტერატურის განყოფილება<sup>7</sup>. დუზჯეს უნივერსიტეტის საბუნებისმეტყველო და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების ქართული ენისა და ლიტერატურის მიმართულებას დანარჩენ სამ ქართველოლოგიის ცენტრთან შედარებით ის უპირატესობა გააჩნია, რომ აქვს როგორც ბაკალავრიატის, ისე მაგისტრატურის სწავლების ორი საფეხური. მეორე კავკასიური ენის, ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის მიმართულებაზე კი ფუნქციონირებს სწავლების სამივე საფეხური: ბაკალავრიატი, მაგისტრატურა და დოქტორანტურა.

დუზჯეში ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილების პედაგოგები არიან ადიღეის რესპუბლიკის მაიკოპის უნივერსიტეტიდან ჩამოსული პროფესორები, რომლებიც კარგად იცნობენ და აფასებენ საქართველოს კავკასიოლოგიურ სკოლას, საერთაშორისო კონფერენციებზე იწვევენ ქართველ მეცნიერებს. დუზჯეს

---

<sup>7</sup> Kayseri Erciyes Üniversitesi, Kafkas Dilleri ve Kültürü Bölümü, Kabardey-Çerkes Dili ve Kültürü Anabilim Dalı (ერჯიესის სახ.კაისერის უნივერსიტეტი, კავკასიური ენებისა და კულტურის განყ., ყაზარდოული ჩერქეზული ენისა და ლიტ-ის მიმართულება) <https://edebiyat.erciyes.edu.tr/programlar/Kafkas-Dilleri-ve-Kulturleri/Edebiyat-Fakultesi/2/18>

უნივერსიტეტის ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილებას მჭიდრო კავშირი აქვს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის კათედრასა და თბილისის ჩერქეზული კულტურის ცენტრთან. 2015 წელს ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილებამ დუზჯეს უნივერსიტეტში ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც საქართველოდან დაესწრო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიოლოგიის სკოლისა და ჩერქეზული კულტურის ცენტრის წარმომადგენლები. 2017 წელს ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილებამ ჩაატარა საერთაშორისო კონფერენცია მიძღვნილი შოთა რუსთაველის დაბადებიდან 850-ე წლისთავისადმი. საზღვარგარეთ პირველად ჩატარდა შოთა რუსთაველის იუბილესადმი მიძღვნილი მსგავსი რანგის სიმპოზიუმი. დუზჯეს უნივერსიტეტმა უმასპინძლა თბილისის, ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის უნივერსიტეტებიდან ჩამოსულ რუსთაველოლოგებს. 2018 წელს ისევ ჩერქეზული ენისა და ლიტერატურის განყოფილებამ ჩაატარა რიგით მეორე საერთაშორისო კონფერენცია, რომელსაც ასევე სხვადასხვა ქვეყნის მომხსენებელნი სტუმრობდნენ. საქართველოდან სტაბილურად მონაწილეობენ და იბეჭდებიან ქართველი მეცნიერები. სამივე კონფერენცია დაგვირგვინდა მოხსენებათა კრებულების გამოცემით.

გარდა აღნიშნული უნივერსიტეტებისა, ართვინის ჭოროხის სახელობის უნივერსიტეტის წესდებაშიც გათვალისწინებულია კავკასიოლოგიის განყოფილების გახსნა, მაგრამ ჯერჯერობით ეს მიმართულება არ ამოქმედებულა. აქ ფუნქციონირებს კავკასიისა და მისი გარემოს გამოყენებისა და კვლევის ცენტრი.<sup>8</sup> გვქონდა მცდელობა ადაფაზარში საქარიის უნივერსიტეტში გაგვეხსნა ქართული ენის კათედრა. მაგრამ მაშინდელმა რექტორმა, წარმოშობით ქართველმა, მოიმიზეზა, რომ მათ ვილაიეთში ქართული კულტურის საზოგადოებაც კი არ არსებობდა, რომელიც მიმართავდა მას თხოვნით ქართული ენის კათედრის გახსნის შესახებ. იქაურმა ქართულმა დიასპორამ მოახერხა და დააარსა ქ. საქარიის ქართველთა (ქართველთა-ლაზთა)

---

<sup>8</sup> Artvin Çoruh Üniversitesi, araştırma (ჭოროხის სახ. ართვინის უნივერსიტეტი, კვლევითი ცენტრები)<https://www.artvin.edu.tr/universitemiz-hakkinda>

კულტურის ასოციაცია.<sup>9</sup> ამ ასოციაციის ბაზაზე ამოქმედდა ქართული და ლაზური ენების შემსწავლელი კურსები. ხსენებული ქართული წარმოშობის რექტორს დაუმთავრდა რექტორობის ვადა, იგი დააწინაურეს და სამინისტროში გადაიყვანეს. ამით დასრულდა მცდელობა კიდევ ერთი ქართული განყოფილების დაარსებისა. შესაძლოა მომავალში ადგილობრივი დიასპორის ძალისხმევით მოხერხდეს საქარიის უნივერსიტეტში ქართული ენისა და ლიტერატურის განყოფილების გახსნა.

აუცილებელია აღინიშნოს ზოგადად დიასპორების დიდი როლი შესაბამისი კავკასიური ენების კათედრების დაარსების საქმეში. დუზჯეს უნივერსიტეტში, კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების გახსნაში ლომის წილი უძველეს ადგილობრივი ჩერქეზების დიასპორას<sup>10</sup>. დუზჯეში ძალიან ბევრი ჩერქეზი ცხოვრობს, აქ ჩერქეზული დიასპორა ყველა დანარჩენზე ძლიერი და მრავალრიცხოვანია. სწორედ ამ დიასპორის წარმომადგენლების მოთხოვნით დაარსებულა დუზჯეს უნივერსიტეტში ჩერქეზული ენის კათედრა. აქვე ხაზგასასმელია ჩერქეზების ხასიათის პოზიტიური შტრიხი. მარტო ჩერქეზულის კი არა, არამედ ქართული ენის კათედრის დაარსების საქმეშიც მათ დიდი როლი ითამაშეს, საქმის კურსში ჩააყენეს რა დუზჯეს ქართული დიასპორა.<sup>11</sup> რის შედეგადაც ადგილობრივი ქართველების მონდომებით ქართული განყოფილების გახსნაც მოხერხდა. ასევე დუზჯეს აფხაზური დიასპორის ინიციატივით აფხაზური ენის კათედრის დაარსების მოთხოვნა. აქვე შევნიშნავთ, რომ აფხაზური დიასპორები დუზჯეში და ზოგადად თურქეთში გამოირჩევა უკიდურესი რადიკალობითა და აგრესიით ქართველების მიმართ.

დუზჯეს უნივერსიტეტში ამჟამად მიმდინარეობს აქტიური სამზადისი მესამე კავკასიური ენის, აფხაზური ენისა და ლიტერატურის მიმართულების გასახსნელად.

---

<sup>9</sup> Sakarya Kartvel (Gürcü, Laz) Kültür Derneği (საქარიის ქართველთა კულტურის ასოციაცია) [https://www.facebook.com/Kartveldernegi/events/?ref=page\\_internal](https://www.facebook.com/Kartveldernegi/events/?ref=page_internal)

<sup>10</sup> Düzce Adige Kültür Derneği (დუზჯეს ადიღური კულტურის ასოციაცია) <https://duzce.adigexase.org/>

<sup>11</sup> Düzce Gürcü Kültür Derneği (დუზჯეს ქართული კულტურის ასოციაცია) <https://www.facebook.com/duzcegurcukulturdernegi/>

თურქეთისა და საქართველოს საგარეო და განათლების სამინისტროებში საკითხის მოგვარების შემდეგ დუზჯეს უნივერსიტეტმა მიიღო აფხაზური ენისა და ლიტერატურის მიმართულების გახსნის უფლება<sup>12</sup>. არ არის დასამალი ის ფაქტი, რომ ეს საკითხი პირველი მოსმენის შემდეგ ჩავარდა ფაკულტეტის სამეცნიერო საბჭოზე, კენჭის ყრის დროს ვერ მიიღო ხმების უმრავლესობა. პროფესურამ არ ჩათვალა საჭიროდ მესამე კავკასიური ენის, კერძოდ აფხაზური ენის მიმართულების გახსნა. სამწუხაროდ, კავკასიური ენებისა და კულტურების განყოფილების ხელმძღვანელი, წარმოშობით ჩერქეზი, ვერ გამოდგა კომპეტენტური და შესაბამისად მომზადებული პროფესიონალი, რათა დაერწმუნებინა კოლეგები აფხაზური ენისა და ლიტერატურის მიმართულების დაარსების მიზანშეწონილობაში. შემდეგ დაიწყო პანდემია და ხანგრძლივი პერიოდით გაიყინა ყოველგვარი ინოვაცია. იმედია, ფაკულტეტის საბჭოს წინაშე განმეორებით დადგება ეს საკითხი, ხოლო აფხაზური ენის განყოფილების პედაგოგებითა და სპეციალისტებით უზრუნველყოფა იგეგმება სოხუმიდან.

დუზჯეს უნივერსიტეტის სტრუქტურაში ასევე იყო მცდელობა ლაზური ენის კათედრის დაარსებისა. უნივერსიტეტს ესტუმრა, ჩვენთვის კარგად ცნობილი, ირფან ჩალათაი-ალექსივა, რომელიც წლების წინათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ატარებდა ლაზური ენის კურსს. შემდეგ ჩამოვიდა ბატონი ისმაილ ბუჯაქლიში, რომელსაც ახლდა ენათმეცნიერების კათედრის პროფესურა ბოსფორის უნივერსიტეტიდან. ირფან ჩალათაი-ალექსივა და ისმაილ ბუჯაქლიში ჰასან უზუნჰასანოღლუსთან ერთად არიან ლაზურ-თურქული ლექსიკონის შემდგენლები<sup>13</sup>. ჩამოთვლილი პირები ესაუბრნენ უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას, მაგრამ გარკვეული პროცესუალური პრობლემების მოუგვარებლობის გამო ეს საკითხი შეჩერდა. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ თურქეთის

<sup>12</sup> იგივე, იხ. ზემოთ <http://kafkas.fef.duzce.edu.tr/Sayfa/b9b2/genel-bilgi>

<sup>13</sup> Büyük Lazca Sözlük (ლაზური ენის დიდი ლექსიკონი) <https://www.kitapyurdu.com/kitap/buyuk-lazca-sozluk/97798.html>

ნომერ პირველ, ბოსფორის უნივერსიტეტში გარკვეული პერიოდის განმავლობაში არჩევით საგნად ისწავლებოდა ქართული და ლაზური ენები.

ზემოთ მიმოხილულია კავკასიური ენები, რომელთა სწავლა, სწავლება და კვლევა დაინერგა თურქეთის უმაღლეს სასწავლებლებში. სრულად ვეთანხმებით პროფ. რ. ყავრელიშვილის გამოთქმულ მოსაზრებას: „ქართველოლოგიის განყოფილებები და მიმართულებები თურქეთში ჯერ კიდევ ფორმირების პროცესში არიან. თუმცა, ქართული თურქოლოგიის და ქართველოლოგიის სკოლების გამოცდილების გათვალისწინებით, მომავალში შესაძლებელია მათი როგორც ძლიერი სასწავლო, ასევე სამეცნიერო ცენტრებად ჩამოყალიბება.“ (ყავრელიშვილი, 2021,165).

გარდა უნივერსიტეტებისა, თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს 2012-2014 წწ. გადაწყვეტილებით, თურქეთის საშუალო და სასულიერო სკოლებში არჩევით საგნად დაშვებულ იქნა ქურთულის, ალბანურის, ბოშნაკურის, ჩერქეზულის, ლაზურის, აფხაზურისა და ქართული ენების სწავლება<sup>14</sup>. უშუალოდ ქართული ენის შესახებ გადაწყვეტილება თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ მიღებულ იქნა 2014 წლის 17 სექტემბერს<sup>15</sup>. ეს ინფორმაცია გადაიცა საქართველოს ტელევიზიით და ნახევარი თბილისი მზად იყო თურქეთში ქართული ენის მასწავლებლად წასასვლელად. ქართულისა და ზემოთ ჩამოთვლილი სხვა ენების სწავლება დაშვებით კი დაშვებულ იქნა, მაგრამ შეზღუდული პირობით და გამოიყო კვირაში მხოლოდ ორი საათი. თუ კლასიდან სულ ცოტა 10-12 მშობელი დაწერდა განცხადებას, რომ სურდათ მათ შვილებს ესწავლათ ქართული ენა (ან შესაბამისად – ჩერქეზული, აფხაზური, ლაზური და სხვ.), მაშინ სკოლის დირექტორი ვალდებული იყო დაეშვა ამ ენის სწავლება არჩევით საგნად. ისეთ დიდ ქალაქებში, როგორცაა სტამბოლი, ანკარა, იზმირი, ბურსა, შეუძლებელია იპოვო კლასი, სადაც

<sup>14</sup> Yaşayan Diller ve Lehçeler (ცოცხალი ენები და დალექტები) <https://www.aa.com.tr/tr/egitim/lazca-secmeli-ders-oldu/219046>

<sup>15</sup> 17.09.2014 19.09 2014 tarihli MEB kararnameleleri (17.09.2014 19.09 განათლების სამინისტროს განკარგულებები) <https://www.chveneburi.net/deda-ena-ana-dil/gurcuce-ogretim-programi-muffedat-kabul-edildi-h415.html>

10-12 ქართველი (ან ჩერქეზი, აფხაზი და სხვ.) წარმოშობის მოსწავლე შეგროვდება. ძირითადად, აქცენტი გაკეთდა ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებით ლოკალურად დასახლებულ სოფლებზე და ასეთი მთელი თურქეთის მასშტაბით აღმოჩნდა მხოლოდ ორი სკოლა. აღნიშნული პროგრამის ფარგლებში საქარიის პროვინციის სოფ. ნუროსმანიეს საშუალო სკოლაში ქართული ენის შემსწავლელი პირველი კლასის დაარსებაში გაწეული განსაკუთრებული წვლილისათვის ღირსების ორდენით დაჯილდოვდა მუსტაფა კოლატი (კოლოტაშვილი).<sup>16</sup> იგი გახლავთ მარმარილოს ზღვის აუზის ქართველების პლატფორმის წევრი, ქ. საქარიის ქართველთა (ქართველთა-ლაზთა) კულტურის ასოციაციის ერთ-ერთი დამფუძნებელი, რომელმაც შეძლო თავის მშობლიურ სოფელში 30 მშობელი დაეთანხმებინა, რათა მათ შვილებს საშუალო სკოლაში ესწავლათ ქართული და ამასთანავე მასწავლებლობაც თვითონვე იტვირთა. მეორე, ართვინის დაბა მურდულის საშუალო სკოლაში 2014-2019 სასწავლო წლებში შეუწყვეტილვ იწავლებოდა ქართული. აქ დასაწყისში ქართული ენის სწავლის მსურველი 90 მოსწავლე შეგროვებულა, მაგრამ მასწავლებლის არყოლის მიზეზით ეს რიცხვი მხოლოდ ერთი კლასის რაოდენობით (25 მოსწავლე) შეუზღუდავთ. ხოლო სკოლის ახალი დირექტორის მოსვლის შემდეგ ქართული ენის გაკვეთილები რელიგიის გაკვეთილებით შეცვლილა (Bilmez, Çağatay, Arslan, გვ.63). ლაზური ენა 2013 -2016 სასწავლო წლებში იწავლებოდა რიზეს პროვინციის დაბა არხავისა და ფინდიქლიში. მასწავლებლები იყვნენ თვითონ ლაზური წარმოშობის კლასის დამრიგებლები და ასწავლიდნენ ლათინური ანბანის გამოყენებით. 2017/18 სასწავლო წელს 7 სხვადასხვა სკოლაში 274 მოსწავლე სწავლობდა ლაზურს, ხოლო 2018/19 წლებში მხოლოდ ერთი სკოლაღა დარჩა 15 მოსწავლით. შემდეგ კი ჯგუფი აღარც შემდგარა. ლაზი ინტელექტუალი ალი იჰსან აქსამაზი (გამოირჩევა რადიკალობით) გაზეთ „Yeni Yaşam“(ახალი ცხოვრება) 2021 წლის 19 მარტის ნომერში წერდა: „ჩვ. წ-მდე III საუკუნეში ცნობილი პოეტი და ალექსანდრიის ბიბლიოთეკის გამგებელი

---

<sup>16</sup>საქართველოს საელჩო თურქეთში [s://turkey.mfa.gov.ge/default.aspx?sec\\_id=432&lang=1&NewsID=106198](s://turkey.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=432&lang=1&NewsID=106198)

აპოლონიუსი თავის წიგნში „არგონავტიკა“ საუბრობს „ოქროს საწმისის“ ქვეყანაზე - კოლხეთზე, მის ხალხსა და ენაზე. აი, ლაზური ენა ამ კოლხეთის ენაა, კოლხების ენაა. მაგრამ ჰოი საოცრებავ, მიუხედავად 4 000 წლიანი წარსულისა ლაზური ენა დღეს ფაქტობრივად არსად არ არის ოფიციალურად აღიარებული.“ (Bilmez, Çağatay, Arslan, გვ.65). აფხაზური ენა ისწავლებოდა საქარიის პროვინციის დაბა ჰენდექში მხოლოდ ნახევარი სასწავლო წელი, ხოლო ჩერქეზული ენა – 2014-2018 სასწავლო წლებში კაისერის პროვინციის დაბა ფინარბაშიში, ერთ სოფლის სკოლასა და დაბა უზუნიაილაში. ჩერქეზული ენის გაკვეთილები პანდემიის დაწყებასთან ერთად შეწყდა.

თურქეთის ეროვნული განათლების სამინისტროს 2014 წლის 17 სექტემბრის გადაწყვეტილებას არჩევით საგნად ქართული ენის დაშვების შესახებ წინ უძღოდა მეტად ხანგრძლივი და დამღლეი პროცესი. თავდაპირველად ქართველი სპეციალისტების მიერ მომზადებულმა პროგრამამ ვერ გაიარა აკრედიტაცია. ამიტომ მაშინდელი დიასპორის სამინისტროს დაკვეთით თურქოლოგ თამარ ალფენიძესთან ერთად თურქულიდან ქართულად ვთარგმნეთ პროგრამები ჩერქეზული და აფხაზური ენებისათვის, რათა ჩვენს სპეციალისტებს ჰქონოდათ შედარების საშუალება. ქვესერ რუჰისა (ქეთევან ხანთაძე) და ელდარ ქუჩუქის (ელიზბარ ცივნარიძის) მიერ შემდგომ ეტაპზე ქართული ენისათვის მომზადებული პროგრამა უკვე დამაკმაყოფილებელი აღმოჩნდა<sup>17</sup>. 2014 წლის 9 დეკემბერს საქართველოს ელჩის წარდგინებითა და საქართველოს პრეზიდენტის განკარგულებით თურქეთის საშუალო სკოლებში ქართული ენის სწავლების პროგრამის შედგენასა და დამტკიცებაში შეტანილი წვლილისათვის საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრმა ოფიციალური ვიზიტის ფარგლებში, „ოქროს საწმისის“ ორდენი გადასცა სტამბოლის „ქართული კულტურის სახლის“ დამფუძნებელს ერდალ ქუჩუქსა და ანკარელ

---

<sup>17</sup> Gürüce Öğretim programı (ქართული ენის სწავლების პროგრამა) Chveneburi.Net - Gürcü Kültür Evi [http://ttkb.meb.gov.tr/dosyalar/programlar/ilkogretim/gurcuce\\_5\\_8\\_siniflar.pdf](http://ttkb.meb.gov.tr/dosyalar/programlar/ilkogretim/gurcuce_5_8_siniflar.pdf)  
OKU, YORUMLA ve PAYLAŞ ==><https://www.chveneburi.net/deda-ena-ana-dil/gurcuce-ogretim-programi-mufredat-kabul-edildi-h415.html> Chveneburi.Net - Gürcü Kültür Evi

მწერალსა და პუბლიცისტს ქვესერ რუჰის<sup>18</sup>. აღსანიშნავია, რომ „ოქროს საწმისის“ ორდენით ჯილდოვდებიან უცხოელი მოქალაქეები და მოქალაქეობის არმქონე პირები, რომლებმაც განსაკუთრებული წვლილი შეიტანეს ქართული სახელმწიფოს აღმშენებლობაში, მისი ეროვნული უშიშროების ინტერესების, სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის დაცვის საქმეში, დემოკრატიული და თავისუფალი საზოგადოების ჩამოყალიბებაში, სხვა სახელმწიფოებთან და საერთაშორისო ორგანიზაციებთან ორმხრივად სასარგებლო ურთიერთობის დამყარებაში, საზღვარგარეთ საქართველოს მოქალაქეების უფლებების დაცვაში, ქართული კულტურის პოპულარიზაციაში, ქართული მეცნიერებისა და ხელოვნების განვითარებაში. „ოქროს საწმისის“ ორდენი პრემიერ-მინისტრობის პერიოდში მიღებული აქვს რეჯეფ თაიფ ერდოღანსაც.<sup>19</sup> საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დიასპორასთან ურთიერთობის დეპარტამენტი ოფიციალურ დონეზე კურირებს ამ საქმიანობას. მათ განათლების სამინისტროსთან ურთიერთანამშრომლობით მოამზადეს საზღვარგარეთ არსებული საკვირაო სკოლებისათვის ქართული ენის სახელმძღვანელო, სამუშაო რვეული და მასწავლებლის წიგნი. თურქებისათვის ცოტა არ იყოს რთული აღმოჩნდა ეს სახელმძღვანელო და თანაც წიგნები მაშინ ჩავიდა, როცა ფაქტობრივად უკვე დახურული იყო ქართული ენის კლასები. უნივერსიტეტები, რომლებიც საქართველოდან დაინტერესებული იყვნენ თურქეთის ქართველოლოგიის ცენტრებთან ურთიერთანამშრომლობით არის: ანდრია პირველწოდებულის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტი და მისი ქართველოლოგიის კათედრის გამგე, აწ განსვენებული პროფ. ტარიელ ფუტკარაძე და საქართველოს უნივერსიტეტი; ხოლო ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და თამარ მეფის სახელობის საპატრიარქოს უნივერსიტეტმა

---

<sup>18</sup>საქართველოს საელჩო თურქეთში [s://turkey.mfa.gov.ge/default.aspx?sec\\_id=432&lang=1&NewsID=106198](s://turkey.mfa.gov.ge/default.aspx?sec_id=432&lang=1&NewsID=106198)

<sup>19</sup> Gürcistan onurları, nişanları ve madalyaları (საქართველოს მედლები და ორდენები)

[https://tr.wikipedia.org/wiki/G%C3%BCrcistan\\_onurlar%C4%B1,\\_ni%C5%9Fanlar%C4%B1\\_ve\\_madalyalar%C4%B1](https://tr.wikipedia.org/wiki/G%C3%BCrcistan_onurlar%C4%B1,_ni%C5%9Fanlar%C4%B1_ve_madalyalar%C4%B1)



გააფორმა დუზჯეს უნივერსიტეტთან ხელშეკრულებები ორმხრივი თანამშრომლობის თაობაზე.

დასკვნის სახით რა შეიძლება ითქვას? ჩვენი კორიფეები – ივანე ჯავახიშვილი, აკაკი შანიძე (თვითონ აღმოსავლეთმცოდნეები) და მათი თანამოაზრეები – კარგად უწყოდნენ, რომ აღმოსავლეთმცოდნეობის დარგის განვითარების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა ქართული ენის, კულტურის, საქართველოს ისტორიის სრულყოფილი შესწავლა. ამიტომაც გასული საუკუნის დასაწყისში მიავლინეს სერგი ჯიქია სტამბოლს თურქულის შესასწავლად. 1928 წელს ბრუნდება ბატონი სერგი და შემდეგ რუსეთს მიაშურებს, სადაც გაივლის ლენინგრადის ცნობილ ორიენტალისტურ სკოლას. 1936 წელს იგი უბრუნდება სამშობლოს. ამავე წელს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში იწყება თურქული ენის სისტემური სწავლება (ყავრელიშვილი 2021, 167), ხოლო 1944 წელს სერგი ჯიქია უკვე აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტის დეკანია. თურქოლოგიის დარგი წლების განმავლობაში ჩვენში ძლიერ თურქოლოგიურ სკოლად ჩამოყალიბდა. დღეს თანამედროვე საქართველოს თითქმის ყველა წამყვან უნივერსიტეტში არსებობს თურქოლოგიის კათედრა და სწრაფი ტემპით, გაძლიერებული წესით ისწავლება თურქული ენა. სამწუხაროდ, თურქმა მეცნიერებმა გვიან მიაქციეს ყურადღება კავკასიოლოგიას. კავკასიური ენების სწავლა, სწავლება და კვლევა დღევანდელი თურქეთისათვის ახალი მოვლენაა, შეიძლება ითქვას, მისი გუშინდელი დღეა. კვლევები ამ მიმართულებით რატომღაც ჯერჯერობით არ მიაჩნიათ საკუთარი კულტურისა და ისტორიის შესახებ მეტი ინფორმაციის მიღების წყაროდ. კავკასიური ენების კათედრების დანერგვა არ არის საკუთარი ქვეყნის ისტორია-კულტურის ნათელსაყოფად გაწეული ძალისხმევა, არამედ განპირობებულია ვალდებულებით, რომელიც მოითხოვება ევროკავშირის სტანდარტებით. რაც შეეხება, სკოლაში არჩევით საგნად თურქეთში არსებული ენებისა და დიალექტების შემოღებას, ესეც ევროკავშირის იძულებითი მოთხოვნაა, იმიტომ რომ საერთაშორისო სამართლით ადამიანის უფლებათა დედა ენაზე მიიღოს განათლება. პირველ წელს ამ

ინოვაციას დადებითად შეხვდნენ. შემდეგ წლებში დამოკიდებულება შეიცვალა, განსაკუთრებით უარყოფითი როლი შეასრულეს სკოლის დირექტორებმა, რომლებიც სხვადასხვა მიზეზების გამო (ვითომ არ არსებობდა პროგრამები ან სახელმძღვანელოები, არ ჰყავდათ მასწავლებლები ან გაკვეთილების ცხრილი გადატვირთული იყო და არ იძლეოდა არჩევითი საგნის ჩამატების საშუალებას და მისთ.), ცდილობდნენ ბავშვებს დედა ენის ნაცვლად რელიგიის საგანი აერჩიათ. ხშირად მშობლებიც სცოდავდნენ ამგვარი დარიგებებით: „ქართულის სწავლას გირჩევნია, ინგლისური იმეცადინო.“ ზოგადად, ენას სწავლობ საჭიროების შემთხვევაში. თურქეთში წინაპრების ენის შესწავლით გულანთებული მხოლოდ უფროსი თაობის წარმომადგენლები შემორჩა. ახალგაზრდობა უკვე ვერ საუბრობს დედა ენაზე და ამის საჭიროებაც არ დგას. ვფიქრობ, არის კიდევ ერთი მიზეზიც – პოლიტიკური. ჯერ კიდევ ძლიერია ათათურქის იდეოლოგია: „დღეს შენ ამ ქვეყანაში, ამ დროშის ქვეშ ცხოვრობ, მაშასადამე ხარ თურქი.“ ეროვნული განათლების სამინისტროს მიერ თურქეთში არსებული ენებისა და დიალექტების არჩევით საგნად სწავლების გადაწყვეტილებას უარყოფითად შეხვდა „ნაციონალისტური მოძრაობის პარტია“(MHP), რომელიც თავისი პროთურქული პოლიტიკით გამოირჩევა. მაგრამ რადგან ეს პარტია მმართველი პარტიის მომხრეა და მისი მარჯვენა ხელი, ამიტომ დუმილი არჩია. ასევე დუმილით შეხვდა ამ სიახლეს ათათურქის მემკვიდრე „სახალხო რესპუბლიკური პარტია“(CHP), რომელმაც არაფერი მოიმოქმედა ამ გადაწყვეტილების მხარდასაჭერად, პირიქით რაიონებში ეწინააღმდეგებოდა კიდევ მას (ართვინის პროვინციის დაბა ბორჩხაში იყო მსგავსი მაგალითი, პოლიტიკური პარტიების ზეწოლის გამო ბავშვებმა უკან გაიტანეს ქართული ენის სწავლის შესახებ დაწერილი განცხადებები). დემოკრატიული გამჭვირვალობისა და რეგულირების პროცესის დამთავრებისთანავე, ჯერ კიდევ პანდემიამდე საშუალო და სასულიერო სკოლებში ქართულის, ჩერქეზულის, აფხაზურისა თუ ლაზურის გაკვეთილების კლასები აღარც გახსნილა.

## გამოყენებული წყაროები:

- )] Bülent Bilmez, İrfan Çağatay, Serhat Arslan, 2022, ÖĞRETMENLERİN, AKTİVİSTLERİN ve MEDYANIN GÖZÜNDEN YAŞAYAN DİLLER VE LEHÇELER SEÇMELİ DERSİ (ბულენტ ბილმეზი, ირფან ჩაღათაი, სერჰათ არსლანი, მასწავლებლების, აქტივისტებისა და მედიის თვალთ დანახული ცოცხალი ენები და დიალექტები არჩევით საგნად) <https://etkiniz.eu/wp-content/uploads/2022/02/RaporKITAMasterK.pdf>
- )] Düzce'nin Sesi 8.10.2013 (გაზეთი „დუზჯეს ხმა“ 8.10.2013) <https://www.duzceninsesi.com.tr/haber/9698144/kafkas-dili-ogrencileri-bolumlerine-yerlesti?fbclid=IwAR0kyH3HZIuhun3ckRKnMV4A8hhzcNdVqqPtgktQMcQitr3JjI7U-KO2OoU>
- )] როინ ყავრელიშვილი 2021, „ქართველოლოგიისა და თურქოლოგიის განყოფილებები, როგორც კულტურათაშორისი ხიდები“, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტი, საერთაშორისო სამეცნიერო სიმპოზიუმი თემაზე „მშვიდობიანი კავკასია“ მოხსენებათა კრებული, გორის სახელმწიფო სასწავლო უნივერსიტეტის გამომცემლობა, გვ.165-171